



სახელმწიფო აუდიტის სამსახური  
გენერალური აუდიტორის ბრძანება



№ 00686/21

31/01/2017

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საშტატო ნუსხის, სტრუქტურისა და მოსამსახურეთა  
თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტისა და მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის, „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის „ვ“, „ზ“ და „ი“ ქვეპუნქტების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლისა და „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის 2013 წლის 1 თებერვლის №14/37 ბრძანებით დამტკიცებული რეგლამენტის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“, „ზ“ და „ი“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:**

1. დამტკიცდეს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საშტატო ნუსხა და მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოები დანართი №1 შესაბამისად.
2. დამტკიცდეს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სტრუქტურა დანართი №2 შესაბამისად.
3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საშტატო ნუსხის, სტრუქტურისა და მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის 2016 წლის 12 დეკემბრის №10934/21 ბრძანება.
4. ეს ბრძანება ამოქმედდეს 2017 წლის 1 თებერვლიდან.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით გაცნობიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6).

გენერალური აუდიტორი  
ლაშა თორდია